F567w 3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 21 (158)

ნოემბერი,

1966 წელი



გარაჟიანი რთველი იყო წელს საქართველოს ციტრუსოვანთა ბაღებში.

ყ 88/8ε. ω-ნ027.

დედა-საქართველოს ამბები

დღის წესრიგში — მთის ავტომოზიდი

თბილისში გაიმართა კონფერენცია მთის პირობებში მომუშავე ავტომობილის თეორიისა და გაანგარიშების საკითხებზე. კონფერენცია მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანებისა და პოლიმერული მასალების მექანიკის ინსტიტუტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილის, ტრაქტორისა და საავტომობილო სატრაქტორო ძრავების კათედრამ და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორისა და ავტომობილის კათედრამ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, გორკის, ხარკოვის, თბილისის, ქუთაისის და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები ავტომშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის დარგში.

კონფერენციის დროს მუშაობდა ორი სექცია — ავტომობილის და საავტომობილო ძრავების სექციები. ორი დღის მანძილზე კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს 30-ზე მეტი მოხსენება, რომლებიც ეხებოდა მთის პირობებში მომუშავე ავტომობილის ცალკეული კვანძებისა და კონსტრუქციების თეორიის დამუშავებისა და კონსტრუირების სხვადასხვა საკითხს.

— ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე ავტომობილებისა და მათი ძრავების გაანგარიშება, დაპროექტება და დამზადება, როგორც წესი ხდება მაღალი მთის პირობებში მათი ექსპლოატაციის გაუთვალისწინებლად,—თქვა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა რ. რ. დვალმა. ავტომობილები, რომლებსაც ჩვეულებრივ პირობებში მაღალი ეკონომიური და დინამიკური მაჩვენებლები აქვთ, მთის პირობებში უფრო უარესად მუშაობენ.

დროა გავიანგარიშოთ და დავაპროექტოთ სპეციალიზებული ავტომანქანა, რომელიც კარგად იმუშავებს მთაში. ამისათვის საჭიროა საიმედო სამუხრუჭო სისტემა, ავტომობილისა და მისი მართვის მექანიზმების მდგომარეობის გადიდება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა გაწეული მოსკოვში, ჩვენს რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებში.

კონფერენციაზე სპეციალისტები გაეცვნენ სსრ კავშირის უახლეს მიღწევებს მთის პირობებში მომუშავე ავტომობილების ცალკეული კვანძებისა და აგრეგატების გაანგარიშების, დაპროექტებისა და კონსტრუირების დარგში.

ინერგება სიახლე

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ბრძმედებში დამთავრდა ბერვის რეჟიმის ავტომატური მართვის ცდები. ამ ცდების შედეგები საფუძვლად დაედება ოპტიმალური წარმოების სრულ ავტომატიზაციას.

მეფოლადეებმა პრაქტიკულად დაამტკიცეს, რომ ქვაბ-უტილიზატორების გადახურებული ორთქლი და კომპრესორის ჰაერი დნობის მძლავრი ინტენსიფიკატორებია.

ლითონის ეკონომიის საკმაოდ დიდი რეზერვია ჩამოჭრის ყოველმხრივი შემცირება. მარტენის საამქროში დაიწყეს ფეროსილიციუმით უშუალოდ ბოყვებში მდუღარე ფოლადის განჯანგვის ახალი მეთოდის გამოყენება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ზოდის ეგრეთ წოდებულ ჩაჯდომის სიფხვიერეს. ეს ამცირებს გლინვის დროს ჩამოჭრასაც.

ამ მნიშვნელოვანი ტექნიკური ღონისძიების დიდ ეკონომიურობას მოწმობს ისიც, რომ ჩამოჭრის ნაწილობრივი შემცირებით ქარხანას შეუძლია სახალხო მეურნეობას მისცეს დამატებით 10 ათასი ტონა ნაგლინი მისი ხარისხის შეუმცირებლად.

ტექნიკური სიახლე დიდ ამოგებას იძლევა. შარშანდელთან შედარებით მებრძმედეებმა ხუთი პროცენტით გაზუმჯობესეს დუმელების მარგი მოცულობის გამოყენება. მეფოლადეები ქვედის აგრეგატების თითოეული კვადრატული მეტრიდან იღებენ 30-40 კილოგრამით მეტ ფოლადს, შვიდნახევარი პროცენტით გადიდდა ნაგლინის გამოშვება.

მიწისქვეშა საგანძური

დღემდე მიაჩნდათ, რომ რგანისა და ქვედა რგანის მანგანუმის მადნის მარაგი ამოიწურა. მაგრამ ჭიათურის გეოლოგიურ-სადაზვერვო პარტიის კოლექტივმა, რომელსაც მეთაურობენ ო. ქართველიშვილი, ნ. ჯაფარიძე და შ. მაჩიტაძე, საწინააღმდეგო დაამტკიცა. დღეს, გეოლოგების დაუცხრომელი ძიების მეოხებით, მანგანუმის მარაგი შეივსო ათობით მილიონი ტონით.

ქართველი წიაღის მზვერავები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამჟამად ანიჭებენ გეოთერმული წყლების დაზვერვას. ზუგდიდის რაიონში დამთავრდა ჭაბურღილის ბურღვა და 2.800 მეტრი სიღრმიდან ამოხეთქა პლუს 92 გრადუსი ტემპერატურის წყალმა. ამ წყლის დებიტი წამში 80 ლიტრია!

წარმოებს აგრეთვე ჭაბურღილების ბურღვა მენჯის რაიონსა და რესპუბლიკის დედაქალაქში. მაგალითად, თბილისში გეოლოგთა ვარაუდით 4.600 მეტრ სიღრმეზე არის პლუს 100 გრადუსი ტემპერატურის ცხელი წყლების დიდი მარაგი.

გეოთერმული წყლები გამოყენებულ იქნება თბილისისა და ზუგდიდის თბოფიკაციისათვის, აგრეთვე სამკურნალო მიზნით. მათ გამოიყენებენ აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში, გაათბობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კვალსათბურებსა და სათბურებს.

გეოთერმული წყლების გამოყენებაზე მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი სპეციალური კომისია, რომელსაც მეთაურობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ნ. გომელაური.

ქართველი სპეციალისტის პროგრამით

როგორ უნდა განაწილდეს უფრო უკეთ სიმძლავრენი ელექტროსადგურებს შორის, როგორ უნდა გაუმჯობესდეს იმ დისპეტჩერთა სამსახური, რომლებიც მუშაობენ ენერგოსისტემის დატვირთვის სადღეღამისო რეჟიმის გამოანგარიშებაზე?

ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა მეცნიერებმა იკისრეს. ისინი ამუშავებენ ყველაზე სრულყოფილ მათემატიკურ მეთოდებს (ალგორითმებს), რომლებიც მოსახერხებელია გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით რეჟიმის ამოცანათა გამოანგარიშებისათვის.


მაგრამ თვით ამოცანის მათემატიკური მოდელის სირთულე, რომელსაც ათობით და ხშირად ასობით ცვლადი სიდიდე, სხვადასხვა შეზღუდვა და დამოკიდებულება აქვს, აბრკოლებდა გამოსათვლელი მანქანების პრაქტიკულ გამოყენებას. არსებული მეთოდები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ უსახავდნენ წარმოების მუშაკები.

ოთხ წელზე მეტი დასჭირდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის თანამშრომელს მ. ბენაშვილს, რომ ეპოვნა საჭირო ალგორითმი. ორ წელს მიმდინარეობდა ექსპერიმენტები. გადამწყვეტი სიტყვა „ურალ-2“-ს უნდა ეთქვა. ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანას უნდა დაედასტურებინა ახალი მეთოდის სისწორე.

ახლა „ურალ-2“ ენერგოსისტემის „დისპეტჩერი“ გახდა. ქართველი სპეციალისტის პროგრამით ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა სწრაფად წყვეტს ელექტროსადგურებს შორის სიმძლავრეთა საუკეთესო სადღეღამისო განაწილების ამოცანას.

მ. ბენაშვილის ალგორითმი გამოირჩევა გამოსათვლელი სქემის სიმარტივით, რაც აადვილებს სხვადასხვა სარეჟიმო შეზღუდვის გათვალისწინებას.

„ურალ-2“-ით მიღებული პირველი პრაქტიკული შედეგები რეალური ენერგოსისტემისათვის, რომელშიც რვა ჰიდროელექტროსადგური და ერთი თბოსადგურია, მოწმობენ, რომ შეიძლება მივიღოთ არსებითი ეკონომიური ეფექტი. გამოსათვლელმა მანქანამ განსაზღვრა დატვირთვის (სიმძლავრეების) განაწილება, რომელთა დროს სათბობის ხარჯი თბოელექტროცენტრალში მცირდება 9 პროცენტით.



კიდევ ერთმა საუკეთესო ნაბეჭდმა დაამშვენა დედაქალაქი. გმირთა მოედანთან ლენინის ჟურნალზე აშენდა საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ახალი შენობა, რომელსაც თქვენ ამ ფოტოსურათზე ხედავთ.

შეხვედრები საქართველოში

40 წლის შემდეგ



ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეს გიორგი ყალაბეგიშვილს. მის მიერ გამოგზავნილი წერილები და ლექსები რამდენჯერმე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

ამ ზაფხულს იგი საქართველოს ეწვია სტუმრად და მისი ძმის ალექსანდრე ყალაბეგიშვილის ოჯახში გავიცანით. სუფრას ოციოდე კაცი უჯდა: ნათესავები, მეზობლები, ამხანაგები... აქვე იყო საფრანგეთიდან ტურისტად ჩამოსული ახალგაზრდა თანამემამულე ნოელ გუნია, რომელიც ქართულს ვერ ლაპარაკობდა და მეგზურობას გიორგი ყალაბეგიშვილი უწევდა. ბევრ რაიმეზე ვილაპარაკეთ, მაგრამ ყველაზე მეტად ერთი ეპიზოდი ჩაგვრჩა მეხსიერებაში, რომელიც გიორგიმ გვიამბო:

— პარიზიდან გამომგზავრებისას ერთმა ჩემმა ნაცნობმა მანდილოსანმა მთხოვა: პირველად შეხვედრილ ქართველს ჩემს მაგიერ აკოცეო, — თქვა გიორგიმ, — სასიამოვნო დავალება იყო და ხალისით დავთანხმდი. ერთი სული მქონდა, როდის შევასრულებდი დანაპირებს.

მოსკოვში ნათესავთაგან არავინ დამხვედრია, რადგან ჩემი ჩამოსვლის ზუსტი თარიღი არ მიცნობებია. აეროპორტიდან გამოსული თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებდი, ბოლოს ვიღაცა შავულვაშას მოკკარი თვალი და პირდაპირ მივეჭერი.

— ქართველი ხართ! — ხმის კანკალით ვკითხე.

— დიახ, ქართველი გახლავართ! — მიპასუხა.

მეტის თქმა აღარ დავაცადე, მკერდში მაგრად ჩავიკარი და რამდენჯერმე გადავკოცნე. იმ კაცს ალბათ გიჟი ვეგონე, რადგან თავგამოდებით ცდილობდა ჩემი მკლავებიდან დახსნას, მაგრამ როცა ეს მოახერხა, არც გაჭცეულა და არც უხეირო უკადრებია რამე, რადგან ჩემს თვალებში ცრემლი შენიშნა და გაკვირვებით დამაცქერდა.

— რა დაგემართათ?

— ბოდიშს ვიხდი, მეგობარო, 40 წელია საქართველოდან კაცი არ მინახავს, — ძლივს ამოვიღე ხმა.

— ეგ როგორ?

— აი ასე. საფრანგეთში ვცხოვრობ, დღეს ჩამოვედი.

— დროებით თუ სამუდამოდ?

— დროებით.

— კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება!

უცნობმა ხელი მაგრად ჩამომართვა. მე კვლავ თავი ვეღარ შევიკავე და დიდი ხნის უნახავი მეგობარივით გადავკოცნე. მერე ის კეთილი კაცი ბილეთის შოვნაშიც დამეხმარა და მეორე დღეს უკვე საქართველოში ვიყავი. თბილისში შეხვედრა ხომ პირდაპირ გასაოცარი იყო! ამდენი ხალხის ასე გულთბილად შეხვედრა ალბათ პრეზიდენტსაც კი შეშურდება...

მერე გიორგიმ გვიამბო, თუ როგორ მოიარა საქართველოს სოფლები და ქალაქები. აღფრთოვანებული იყო ნახით და განცდილით.

— დამიჯერებთ? ჩემი სოფელი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ჩემი საყვარელი სოფელი კოტეხი ვეღარ ვიცანი, ისე გამოცვლილა და გალამაზებულა! სხვას რომ ეამბნა, არაფრით არ დავიჯერებდი. ახლავე წარმოდგენილი მაქვს, რა გაჭირვება მომელის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ: ათასი ნაცნობი და უცნობი დამესევა, მთელი ქართველობა თავზე დამეცემა, მოდი და უახსენი, დაარწმუნე! ასეთ რამეს საკუთარი თვალით თუ არა ნახავ, ისე ძალიან ძნელია დაიჯერო, მით უფრო, რომ ყველა მათგანს ამდენი წლის განმავლობაში ისე აქვს ჩაბეჭდილი მეხსიერებაში თავისი სოფლისა თუ ქალაქის მაშინდელი სახე, რომ მასში წარმოსახვით რაიმე ცვლილების შეტანას მთელი რევოლუციის მოხდენა ესაჭიროება.

განა მათ არ გაეხარდებათ ეს ცვლილებები, ეს წარმატებანი? გაეხარდებათ, მაგრამ ადამიანის გონება ამ შემთხვევაში მეტად ჯიუტი ყოფილა: სწორედ ისეთი უნდა დაინახოს თავისი კუთხე, თავისი ახლობლები, როგორებიც ისინი ოცი თუ ორმოცი წლის წინათ დატოვა, რადგან სწორედ ისინი უყვარდა ამ ქვეყნად ყველაზე მეტად, სწორედ მათზე ფიქრობდა და ოცნებობდა გამუდმებით ამდენი ხნის განმავლობაში.

— დალოცვილია, მდიდარია ჩვენი კუთხე. შრომის მოყვარე და ალალია ჩვენი ხალხი. აქაურობის მოცილებას სიკვდილი სჯობს, მაგრამ რა ვქნა, რომ საფრანგეთში უკვე ჭაჭვებითა ვარ დაბმული: ქალიშვილები ფრანგებზე გავათხოვე, ხომ ვერ დავუშლიდი, ბედს ხომ ვერ დავუპირავებდი!.. დედაჩემის გვერდით დამარხვა ყველაფერს მირჩევნია... ნეტავი ისე არ მოვკვდე, რომ მისი ძვლებით გამთბარი მიწა გულზე არ დამეყაროს...

შემდეგში გიორგის ძმამ ალექსანდრე ყალაბეგიშვილმა მიამბო, რომ გიორგის დედის საფლავიდან რამდენიმე პეშვი მიწა საფრანგეთში წაუღიათ...

... მას შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გავიდა. ჩემს წინაშეა გიორგის მიერ გამოგზავნილი რამდენიმე წერილი. აი ერთი მათგანი:

„— ჩემო ძვირფასებო! მანდ, ჩემს ძვირფას, საყვარელ სამშობლოში მცხოვრებნო! დაუვიწყარია თქვენთან ჩემი შეხვედრა ორმოცი წლის შემდეგ, გულთბილი და სასიხარულო, თუმცა ცრემლიანი, მაგრამ მაინც საბედნიერო. როცა თქვენ გამოგემშვიდობეთ, როცა ჩემს მშობლიურ მიწა-წყალს — ძვირფას საქართველოს გამოვეთხოვე, ჩემი სული და სხეული თითქოს ერთმანეთს გაშორდა. ოღონდ თან გამომყვა თქვენი იმედი, ნუგეში და სიყვარული ისეთ მალამოდ, რომელმაც ძალა მომცა კვლავ ჩამომეღწია უცხოეთამდის, თან გამომყვა მშობლიური მიწის ნაწილი, რომელიც მათბობს.

მე მაინც ვჯრთი და ვკანკალებ. სინამდვილეში ვერ გავრკვეულვარ, ასე მგონია სიზმარში ვარ, მუდმივ სიზმარში. ორმოცი წლის სიკვდილის შემდეგ სამშობლოსა და თქვენს წინაშე ჩემი აღდგომა იყო მართლაც წარმოუდგენელი. მაპატიეთ, ასე მგონია უმადური ვიყვე, რომ დღემდე მხოლოდ ერთი წერილი მოგწერეთ და ისიც ძალიან მოკლე. იმ წერილში ვერ გამოვხატე ჩემი თქვენდამი სიყვარული, პატივისცემა, ურრმესი გულითადი მადლობა ასეთი შეხვედრისათვის. ახლაც ისევ იმას ვიცდილობ, მანდ გატარებული ორი თვე ბეღნიერებისა და სიხარულისა წარმოვიდგინო, ხელახლა განვიცადო, გავიმეორო! მაგრამ ვაი რომ ვერ ვაღწევ ნატვრას!

საოცარია: ორ თვეზე მეტი გავატარე თქვენს შორის და როცა თქვენი სახეების წარმოდგენა მინდა, კვლავ ისეთებს გხედავთ, როგორიც ადრე, ორმოცი წლის წინათ დავტოვეთ და ხშირად ასე მგონია, თითქოს არც კი ვყოფილიყვე საქართველოში. ვაი რომ თურმე საკმარისად ვერ გელაპარაკეთ ყველას, ვერ გავძეხი თქვენი ყურებით, ვერ დავტკბი საყვარელი სამშობლოს ზღაპრული მშვენებით. თვალიდან არა მშორდება მისი სილამაზე, მისი აყვავებული მთა-ველი...

მშვიდობით იყავით. მეტს ვეღარ ვუძლებ, ძალა არა მყოფნის... მიიღეთ ყველამ ჩემი უღრმესი, გულითადი მადლობა ჩემდამი გამოჩენილი მშობლიური სიყვარულისა და პატივისცემისათვის.

მარად თქვენი და სამშობლოს ნასვას მონატრებული გიორგი ყალაბეგიშვილი“.

გ. კავთიაშვილი.



სურათებზე: ზემოთ — გიორგი ყალაბეგიშვილი (მარცხნივ), მისი ძმა ალექსანდრე და ნოელ გუნია თბილისში რუსთაველის პროსპექტზე; ქვემოთ გიორგი ყალაბეგიშვილი გურჯაანში დედის საფლავთან.

„მაგიური“ კრისტალები

ბევრ თანამედროვე ნახევარგამტარიან ხელსაწყოს — ტრანზისტორს, გამმართველს, ლაზერს, ტირისტორს, ფოტოელემენტს საფუძვლად უდევს ეგრეთწოდებული ელექტრონულ-ხვრელური გადასვლები. ისინი წარმოიქმნებიან გერმანიუმის, სილიციუმის, გალიუმ-დარიშხანის ნაერთისა და სხვა ნახევარგამტარ კრისტალებში, მაშინ, როცა მათ სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული ტიპის გამტარებლობა აქვთ.

ნახევარგამტარების დარგის მეცნიერთა და ინჟინერთა III სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც გაიმართა თბილისში, მიეძღვნა მეცნიერების ამ ახალ დარგს — ფიზიკურ მოვლენებს ელექტრონულ-ხვრელურ გადასვლებში. თათბირი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნახევარგამტართა ფიზიკისა და ქიმიის კომპლექსური პრობლემების სამეცნიერო საბჭომ. თათბირში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, ნოვოსიბირსკის, ტომსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსული 500-ზე მეტი სპეციალისტი. 190 მოხსენებასა და ცნობაში განხილულია ახალ ნახევარგამტარიან ხელსაწყოთა შექმნასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელთა გამოყენება შეიძლება როგორც სუსტდენიან (რადიო და ელექტრონიკა) ისე ძლიერდენიან ელექტროტექნიკურ ტრანსფორმატორებში და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებში.


საექსპორტოდ

ბათუმი. იუგოსლავიაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ბრაზილიასა და ავსტრალიაში გაიგზავნა სამედიცინო პრეპარატების დიდი პარტია. ეს პრეპარატები ბათუმის კოფეინის ქარხანამ დაამზადა.

ეს არის ევროპაში ერთადერთი საწარმო, რომელიც ჩაის ნედლეულის ნარჩენებისაგან ამზადებს კრისტალურ კოფეინს. ქარხანა უშვებს კიდევ 17 ძვირფას სამედიცინო პრეპარატს, რომლებსაც წარმატებით იყენებენ გულისა და სისხლძარღვების, კუჭ-ნაწლავისა და ზოგიერთი სხვა დაავადების მკურნალობის დროს.

ჩვენს ქვეყანაში ძნელია მოიძებნოს ისეთი სამკურნალო დაწესებულება, სადაც არ იყენებდნენ ბათუმის კოფეინის ქარხანაში დამზადებულ პრეპარატებს. ამას წინათ, მაგალითად, ქარხანამ თავისი პროდუქციის დიდი პარტია გაუგზავნა მოსკოვს, სმოლენსკს, ტაშკენტს, ბუხარას, სოჭს, ყაზანს, მაგადანსა და სხვა ქალაქებს.

დედა სტუმრად შვილებთან



ძვირფასო თანამემამულენო! მსოფლიოს ყველა გეოგრაფიულ რუკაზე როდი მიაკვლევთ პატარა კუნძულ ტექსელს, რომელიც ჰოლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მაგრამ ეს კუნძული უკვე კარგა ხანია იქცა ყველა ქართველისათვის გმირობის, სამშობლოსათვის თავგანწირვისა და ერთგულების სიმბოლოდ. 20 წელზე მეტი ხანი გვაშორებს იმ დროს, რაც ქართული ბატალიონის ყოფილმა მეომრებმა ტექსელზე აჯანყება მოაწყეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. ეს აჯანყება სხვაგვარად „ტექსელის ტრაგედიის“ სახელწოდებითაც არის ცნობილი. 750 ქართველმა მეომარმა შეურიგებელი ომი გამოუცხადა მტრის რიცხობრივად ჭარბ ძალებს. ქართველმა ვაჟკაცებმა სიცოცხლეს გამოასალმეს მრავალი ფაშისტი, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. 528 ქართველმა მეომარმა თავი შესწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას, გმირთა 500 სამარე გაიჭრა შორეული ჰოლანდიის პატარა კუნძულზე.

გადარჩენილ მეომრებს ფაშისტები სასტიკად სდევნიდნენ, ეძებდნენ მათს კვალს, შურისძიების წყურვილით გახელებული მტერი არც იმ ჰოლანდიელებს ინდობდა, რომლებიც ლტოლვილ ქართველებს თანაუგრძნობდნენ. სიკვდილის საფრთხე ემუქრებოდა ჰოლანდიელ ქალს **კორნელია ბოონ-ფერბერგსაც**, რომელმაც საარაკო გმირობა და გაბედულება გამოიჩინა. იგი მალავდა დაჭრილ ქართველ მებრძოლებს, აძლევდა მათ საჭმელსა და წამლებს. ასე შეუნარჩუნა მან სიცოცხლე ათობით ქართველ მებრძოლს.

„ქართველთა დედას“ ეძახდნენ საქართველოში კორნელია ბოონ-ფერბერგს. თავის ღვიძლ შვილებად თვლის იგი იმ ქართველ მეომრებს, რომლებიც ომის დროს ტექსელზე ქართულ ბატალიონში იმყოფებოდნენ. თვალცრემლიანი დედა ყოველდღე აკითხავს იქ, შორეულ ტექსელზე, ომში გმირულად დაღუპული ქართველი შვილების სამარეს, ცოცხალი ყვავილებით ამკობს მას, სათუთად ინახავს მათს ხსოვნას.

დიდი ხანია ჩაქრა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი; შავი დღე დაადგა ფაშიზმს, ნაომარ ველებზე პურის ყანები ბიბინებს... მაგრამ მოუშუშებელ ჭრილობასავით აწუხებს კორნელია ბოონ-ფერბერგს ტექსელის მოგონებანი, რომლებსაც მხოლოდ ცოცხლად დარჩენილ ქართველ ტექსელელებთან დედაშვილური ურთიერთობა თუ ანელებს...

ორ კვირაზე მეტ ხანს დაჰყო საქართველოში თავის შვილებთან ამ შესანიშნავმა ადამიანმა. კორნელია ბოონ-ფერბერგი შორეულ, მაგრამ მისთვის ასე ახლობელ ქვეყანას ესტუმრა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით. მან დიდი სიყვარულით მოინახულა ყოფილ მეომართა ოჯახები თბილისში, სოხუმში, ფოთში, ბათუმში, კასპში, მცხეთაში. დაათვალიერა რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები, ისტორიული ძეგლები, მუზეუმები.

საქართველოდან გამგზავრების წინ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში კორნელია ბოონ-ფერბერგმა განაცხადა:

◆ ◆ ◆

— **უკვე** დიდი ხანია სურვილი მქონდა საქართველოში ჩამოვსულიყავი. დიდად გავიხარე, როცა **უცხოეთში** მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა მოწვევით ეს ოცნება ამისრულდა.

როცა თბილისში ჩამოვედი თუმცა ღამის პირველი საათი გახლდათ, მაგრამ აეროდრომზე მაინც დამხვდნენ ქართველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დამხვდურთა შორის შევნიშნე ასე ნაცნობი და საყვარელი სახეები ჩემი ყოფილი თანამებრძოლებისა. მე გამახსენდა 1945 წლის აპრილის ტრაგიკული დღეები, როცა გაზაფხულის ყვავილებით მორთული ტექსელი ჩემი შვილების — ქართული ბატალიონის მეომართა **სისხლით** ირწყვებოდა, გამახსენდა გათხრილი ორმოები, სადაც მათი ნაწილი იმალებოდა. მე მათთვის საშველი **მიმჭონდა**, მაგრამ ბევრ მათგანს იგი უკვე აღარ **სჭირდებოდა**. აბა, რა უნდა ექნა უბედურ დედას, რომელიც თითქმის ყოველდღე ხედავდა ან გებულობდა შვილების სიკვდილს.

მე ვიდექი თბილისის აეროდრომზე, რომელიც ასე ენატრებოდა ყოველ მათგანს; მე დამნათოდა სამხრეთის ქალაქის ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა, რომელიც ბევრი მათგანისათვის მაშინ სამუდამოდ დაბნელდა.

თავაზიანმა მასპინძლებმა იმდენი თაიგული მომართვეს, რომ გაოცებული დავრჩი, თუმცა ჰოლანდია ყვავილების ქვეყნად ითვლება. მაგრამ თაიგულებზე უფრო ჩამრჩა გულში ის დიდი სიყვარული და მოკრძალება, როგორითაც შემეგებნენ ჩემი ტექსელელი ქართველი შვილები. 20 წელზე მეტ ხანს ვატარებდი გულში მათი ნახვის სურვილს და აკი ამისრულდა კიდეც ოცნება!

პირველი ევგენი არტემიძე გადამეხვია, ცრემლი უბრწყინავდა თვალებზე. მეც მომერია ცრემლი. ეს ბედნიერების, სიხარულის ცრემლები იყო. აქვე იყვნენ შალვა ნოზაძე, ვალიკო ჟღენტი, მაჩაიძე და სხვები. იმ წუთიდან მოყოლებული დღემდე მე თავაზიანი მასპინძლების გარემოცვაში ვიყავი. ეს მასპინძლები ჩემი საყვარელი შვილები იყვნენ, რომლებიც მრისხანე 1945 წელს ჩემს სახლში ემალებოდნენ გაფთრებულ ჰიტლერელებს.

ცოტაა იმის თქმა, რომ საქართველომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს პატარა, ლამაზი ქვეყანა, სადაც ცხოვრობს შრომისმოყვარე, პურადი და გულუხვი ხალხი, ჩემი საკუთარი ოჯახივით იყო. თითქმის ყველა ქალაქში მყავდა შვილობილი ანდა კეთილისმყოფელი ადამიანი, რომელთა ერთადერთ მიზანს ჩემი მოკრძალებული ღვაწლის დაფასება და პატივისცემა შეადგენდა. მე ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ ქართველები მარტო მამაცი მებრძოლები როდი ყოფილან. მათ საუცხოოდ უჭირთ მკლავი შრომაშიც. ისინი ცხოვრობენ ლამაზ სახლებში, მათ აქვთ მდიდარი ვენახები და პლანტაციები, დიდი არხები და ელექტროსადგურები, მძლავრი ფაბრიკები და ქარხნები.

მე დავათვალიერე მცხეთის მეცნიერების საბჭოთა მეურნეობა. დავესწარი ყურძნის კრეფის დღესასწაულს. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა.

მოვიარე დასავლეთი საქართველოც, ვნახე ეშერის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ულამაზესი ქალაქის — სოხუმის მახლობლად მდებარეობს. ვესაუბრე ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს: თავმჯდომარე თოდუასა და მთავარ აგრონომს დენელიანს. ვიყავი მანდარინის, ლიმონისა და თამბაქოს პლანტაციებში. აქ მე ბევრი რამ ვნახე და ვისწავლე. დავრწმუნდი, თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლია სამხრეთის გულუხვი ბუნებისა და ადამიანის გამრჯე შრომის კავშირს. ეს არის ერთ-ერთი უმდიდრესი პროვინცია, რომელიც კი მე მინახავს.

როცა ჩემი შვილები ჰოლანდიაში იმყოფებოდნენ, ისინი ბევრს მიამბობდნენ თავიანთ სამშობლოზე. ახლა, როცა ჩემი თვალით ვნახე ეს სვებედნიერი ქვეყანა, დავრწმუნდი, რომ მათს ნაამბობს მჭევრმეტყველება აკლდა, საამისოდ აუცილებლად პოეტი უნდა იყო.

დაუვიწყარ მოგონებად მიმყვება ის შეხვედრები, რომლებიც საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში მომიწყეს. ასე იყო კასპში, სადაც ჩემი შვილი — გრიშა ბაინდურაშვილი ცხოვრობს, სოხუმში — ბარნაბ ლომიძის სამშობლოში, ბორჯომში — ნოე გონგლაძესთან, ფოთში — მიშა მოწერელიასთან, ბათუმში — ასლან წილოსანთან და დავით კობახიძესთან, მცხეთაში — ოსკანოვთან... გული სიხარულს ვერ იტევდა, როცა ამ შრომისმოყვარე ადამიანების ბედნიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში შევდიოდი, მათს მამებსა და დედებს, დებსა და ძმებს, შვილებს ვეცნობოდი. ისინი ჩემი ნათესავებიც იყვნენ — ახლობელი და ძვირფასი ადამიანები.

არასოდეს არ დამავიწყდება ნოემბრის დღეც, როცა „თბილისის ზღვაზე“ 130 ყოფილმა ქართველმა პარტიზანმა შეხვედრა მომიწყო. აქვე შევხვდი მწვრილ რეზო თაბუკაშვილს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ჰოლანდიაში იმყოფებოდა. იგი წერს წიგნს ტექსელის აჯანყების შესახებ.

საქართველოში ჩემი მოგზაურობის დროს მე ბევრ შესანიშნავ ადამიანს გავეცანი და დავუმეგობრდი. სიამაყის გრძნობით მავსებდა და მახარებდა ის, რომ დიდმა თუ პატარამ, ყველამ იცოდა ტექსელის ამბავი, პატივისცემით იგონებდა ტექსელის გმირებს. მათ აინტერესებდათ, თუ როდის გავეცანი და დავუახლოვდი ქართველ მეომრებს. ქართველ მებრძოლებს ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე ვიცნობდი და ვეხმარებოდი. აჯანყების წინ მათ ჩვენთან მალულად იწყეს სიარული. ქართველი მეომრები კავშირს ამყარებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მათი დახმარებით **უკავშირდებოდნენ** ჰოლანდიელ პარტიზანებს.

ერთხელ, როცა ქართველები ჩემთან მოვიდნენ, გერმანელებმა სამეფოვლყურეო კოშკიდან შენიშნეს ისინი და ჩემს სახლს ბომბები დაუშინეს. ჩვენ დავტოვეთ სახლი და თავი შევაფარეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ სახლი აფეთქდა.

საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალე, მაგრამ ქართველებთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. ჩემთან მოდიოდნენ მეომრები და დანიშნულ ადგილზე გადასაცემად ყოველთვის რაიმეს მიტოვებდნენ.

ბევრ მათგანს მხოლოდ სახეზე თუ ვცნობდი, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ათეულ წლობით ვიცნობდით ერთმანეთს.

ბედნიერი ვარ, რომ ახლა საქართველოში გიმყოფები, რომელიც ლეგენდარული ქართული ბატალიონის მებრძოლების სამშობლოა. მე თან მომაქვს ერთი მუჭა ქართული მიწა. მას ტექსელზე დაღუპული ქართველი ვაჟკაცების საფლავზე მიმოვაბნევ. ისინი საიმედოდ ჰყავს გულში ჩაკრული ჰოლანდიის პატარა კუნძულს, რომელიც სამუდამოდ შეინახავს მათ ხსოვნას.

მე სამშობლოში ჩავიტან ჩემი შვილების ამბავს, რომლებიც საქართველოში მოვინახულე. ისინი ჰოლანდიელი ხალხის დიდი მეგობრები არიან.

მე თან მიმაქვს ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და სითბო.

ამიტომაც დიდ, ძალიან დიდ მადლობას ვუხდი იმ საზოგადოებებს, რომლებმაც პატივი დამდეს და საქართველოში მომიწვიეს. საქართველოში გატარებული დღეები ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო დრო იყო ჩემს ცხოვრებაში.

საოცარ ადამიანებს საოცარი საქმეები ეკუთვნით!



რევაზ მარგიანის დაბადების 50 წლისთავის გამო

გამოჩენილი ქართველი პოეტი რევაზ მარგიანი 50 წლისა გახდა. ამ დღეებში მან მრავალი მოსალოცი წერილი და დეპეშა მიიღო თავისი მკითხველებისა და მეგობარი კოლეგებისაგან.

რევაზ მარგიანის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პოეტის ახალი ლექსების კრებული. პოეტი ასე მიმართავს თავის მკითხველებს:

„ჩემი ახალი ლირიკული ლექსების ეს წიგნი სამი წლის განმავლობაში იწერებოდა, მაგრამ მისი სათავე შორზე შორია. ბევრი ლექსი, როგორც მოგონება, ცოცხლობდა ჩემს გონებაში, არ მასვენებდა, მაღელვებდა, საწერად მიხმობდა. და ვწერდი, როგორც შემეძლო. ვცდილობდი ვყოფილიყავ მართალი და გულწრფელი, დაუფარავად მსურდა მეთქვა ჩემი სიხარულიცა და ტკივილიც. ამ წიგნით ვახარულებ ჩემი ცხოვრების ნახევარ საუკუნეს და ვცხოვრობ მხოლოდ ერთადერთი იმედით, რომ ხვალ უკეთესს დავწერ“.

ქვემოთ ვბეჭდავთ ორ ლექსს რევაზ მარგიანის ახალი კრებულიდან.

ეს პირველ ქართულ ლექსს...

ბე ერთზე ვფიქრობ: ვიცოდე ნეტავ,
სად, როდის გაჩნდა სიმღერის ფესვი,
სიბრძნის,
სიმართლის,
სინათლის დედა —
ჩვენი პირველი ქართული ლექსი!
ვინ იყო მთქმელი,
სად იყო, როდის,
რომ ფიქრი ლექსად გაივლო გულში.
ნეტავ ვიცოდე, საიდან მოდის,
ან თესლი როდის გაღვივდა ხნულში?
ეს შენ ხარ, შენ ხარ,
წინაპრის ლანდო,
ანათებს შენი ჩაკრული კვეხი.
შენ ერმა თვისი გულისთქმა განდო
და პირველმა თქვი მდუღარე ლექსი!
შენ იყავ ხმალი,
ჯარო და გრდემლი,
ჭირთა მოთმენა
და ჭირთა ძლევა,
თვალთაგან სიმწრით მომსკდარი ცრემლი
მანანასავით ეცვიდა მტევანს.
შენ ოროველით
ეტრფოდი გუთანს
და სატირალში კვნესოდი მწარედ,
შენ წყევლა-კრულვას უთვლიდი სულთანს,
ლოცავდი ძვირფას სამშობლო მხარეს.
შენ იყავ ჩვენი დედაც და მამაც,
ურჩხულის პირში ჩაჩრილი შუბი.
შენ იყავ ლოცვა
და იავნანა
და ერსაც მისთვის დაჰქონდი უბით.
შენ ხმალთან ერთად
ვერაგი ჰკაფე,
პირველი დახვდი მომხდურებს სამტროდ.
შენ სიყვარულის აბამდი ძაფებს
და ირემივით უხმობდი სატრფოს.
შენ უგალობდი თავდახრილ თავთავს,
ჯეჯილს და სათიბს,
ყანას და ვენახს.
შემოგჩვია შენს წმინდა კალთას,
შენგან ისწავლა ბულბულმაც სტვენა.
შენ იყავ ფიცი საპირისწამლე,
გაუბზარავი ფარი და ზუჩი.
შენით ლოცავდა მზესა და მთვარეს
პირველი ჯიხვით დამტკბარი ტუჩი.
შენით მიჰქონდა დაუღლელ უღელს
კალოზე ძნა და
ვენახში ჭიგო.
შენ ამღერებდი
მუხიანს მუხებს,
მულახში — ჭუნირს,
ქედაში — ჭიგოს.
ეს პირველ ქართულ ლექსს გაუმარჯოს,
პირველი ბეერის ეშხსა და ძალას,
ქართველი კაცის
პურსა და სარჩოს
და გიშრის ტბაში ჩაწებულ კალამს.

გახედე...

გახედე,
ამაყ ქედებს გაეედე,
მთებზე გაფრენილ ცისფერ
მანდილებს,
გახედე,
სიცოცხლეს უფრო გაგიადვილებს.
გახედე,
მზეში ჩამწვარ ცისკიდეს
და ხეობებში ჩაფშვნილ ჩანჩქერებს,
მთის ტოლა ტვირთი წამოიკიდე
და ვერაფერი ვერ შეგაჩერებს.
გახედე,
მხოლოდ ერთხელ გახედე,
გწამდეს — იქნება ეს საკმარისი,
აგუგუნდები,
როგორც კახეთი,
და სიმღერები მოვა თავისით.
გახედე,
ამ ცამ ძილი მომპარა,
ამ სილამაზემ ბევრჯერ დამთოფა,
დამთოფა, მაგრამ ბევრჯერ მომგვარა
დაუდგრომელი ახალგაზრდობა.
გახედე,
ამაყ ქედებს გახედე,
მთებზე გაფრენილ ცისფერ
მანდილებს,
გახედე,
თვალი მზეს შეგახვედრებს,
სიცოცხლეს უფრო გაგიადვილებს.

• • •

თითქმის ათი წელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია სწავლობს თეთრი წყაროს რაიონის ადრეული ლითონის ხანის კულტურის ძეგლებს. წელს კი ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გერმანე გობეჯიშვილი, თავისი შრომა გამარჯვებით დააგვირგვინა. ბედენის ზეგანზე (ზღვის დონიდან 1.800 მ.) გათხრილ იქნა ე. წ. „გადაჭრილი გორა“ — ყორღანი ანუ გორსამარხი. აქ აღმოჩენილი იქნა ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით XIX საუკუნის ხის აკლდამა სამი ადამიანის ჩონჩხით და მეცნიერებისათვის მრავალი ფასდაუდებელი ნივთი.

• • •

სურათზე: ბედენის აკლდამის გათხრების საერთო ხედი.



ფართოვდება

ტურისტთა მოგზაურობა საზღვარგარეთის ქვეყნებში

წლითიწლობით ფართოვდება ჩვენი რესპუბლიკის ტურისტული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, იაპონიაში, იტალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში უკვე იყო საქართველოს ათასობით მშრომელი — სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკები. ისინი ეცნობიდნენ ამ ქვეყნების ცხოვრებას, ყოფასა და კულტურას, ესაუბრებოდნენ თავიანთი პროფესიის წარმომადგენლებს, მეგობრულ კონტაქტებს ამყარებდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს მშრომელებთან.

მომავალ, 1967 წელს, როგორც გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს პროფსაბჭოში, საზღვარგარეთ მოგზაურობის მოყვარულთ მოელით საინტერესო მოგზაურობანი ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანაში.

ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს საბჭოთა ტურისტების კრუიზული რეისი თბომავალ „ლიტვათი“ აღმოსავლეთ აფრიკაში. იგი გათვალისწინებულია მომავალი წლის მარტში.

ამ რეისის ტურისტები ოდესიდან გაემგზავრებიან 15 მარტს. მეორე დღეს ისინი ეწვევიან სტამბოლს, მოაწყობენ ექსკურსიას ქალაქში, დაათვალიერებენ ოქროს რქის გალატის ხიდს, წმინდა სოფიოს ბიზანტიურ მუზეუმს.

საბერძნეთში საბჭოთა ტურისტები ეწვევიან ქალაქებს პირაისა და ათენს, ხოლო იქიდან გაემგზავრებიან ლიბანის ქალაქ ბეირუთში.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ტურისტები მოინახულებენ ქალაქებს ალექსანდრიას, კაიროს, პორტ-საიდს, ნახავენ პომპეუსის კოლონებს, ცნობილ სფინქსს. ხეოფსის პირამიდას, სუეცის არხსა და სხვა ღირსშესანიშნაობებს.

კრუიზული რეისი ითვალისწინებს აგრეთვე იემენის ქალაქების ხოდეიდისა და ადენის, ტანზანიის ქალაქ დარეს-სალამის, ზანზიბარის კუნძულის, კენიის ქალაქების მომბასისა და ნაირობის დათვალიერებას.

მომავალი წლის პირველ კვარტალში მოეწყობა ტურისტული ექსკურსიები უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და იქ ლაიფციგის ტრადიციული საგაზაფხულო ბაზრობის დათვალიერება, რუმინეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ჩვენი კალენდარი

მამულიშვილი

საყოველთაოდ ცნობილია ქართული ხალხური მუსიკის განუზომელი სიმდიდრე, განსაცვიფრებელი ნაირფეროვნება და განუმეორებელი თვითმყოფობა. არანაკლები ინტერესის საგანია მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე ჩვენი კლასიკური და თანამედროვე პროფესიული სამუსიკო ხელოვნება.

ქართულმა მუსიკამ, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრულმა მოვლენამ კარგა ხანია მიიპყრო საბჭოთა და უცხოური თეორიული მუსიკისმცოდნეობის ყურადღება. ამ მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელია ჩვენში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **შალვა სლონიშვილი**, რომლის დაბადების 70 წლისთავი გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნა წელს საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ.

შ. ასლანიშვილი დაიბადა 1896 წელს არდანუჯში (ბათუმის ყოფ. ოლქი) მოსამსახურის ოჯახში. მისი მამა — სოლომონ ასლანიშვილი — დიდად გატაცებული იყო საქართველოს სიძველეების, მშობლიური ხალხის ადათ-წესების შესწავლით, რასაც მან უღალვა თავისი „ეთნოგრაფიული ნარკვევები“ და ისტორიულ ძეგლთა აღწერანი, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. სოლომონ ასლანიშვილის ოჯახი 1899 წელს ქუთაისს გადავიდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — თბილისში დასახლდა.

1915 წელს შალვა ასლანიშვილმა დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, სადაც იგი, ზოგადი განათლების საგნებთან ერთად, ეუფლებოდა ვიოლინოს დაკვრას ანდრია ყარაშვილის ხელმძღვანელობით; ამასთანავე მონაწილეობდა მოსწავლეთა გუნდსა და ორკესტრში, რომელსაც სათავეში ზაქარია ფალიაშვილი ედგა. ამ უკანასკნელთან, ერთი წლის განმავლობაში, ქართულ მუსიკოსთა პროფესიული ზრდისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იქაური ფილარმონიის ბრწყინვალე სიმფონიურ და კამერულ კონცერტებს, საგუნდო კაპელასა და გამოჩენილ მუსიკოსთა გამოსვლებს.

1930 წლის შემოდგომიდან შ. ასლანიშვილი მუშაობს თბილისის კონსერვატორიაში, სადაც ხელმძღვანელობს სპეციალურ და ზოგად თეორიულ დისციპლინებს, მუსიკისმცოდნეობის კათედრას, ხოლო 1936 წლიდან დღემდე მუსიკის თეორიის კათედრას.

ხუთი წლის მანძილზე (1945-50 წწ.) პროფ. შალვა ასლანიშვილი სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტთან არსებულ მუსიკალური ფოლკლორის განყოფილებას. ამ ხნის განმავლობაში მან ასობით ხალხური სიმღერა ჩაწერა. ამ ძვირფას ნიმუშებს შორის აღსანიშნავია იშვიათი მაგალითები „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ყაიდაზე წაკითხვისა, ჩაწერილი მის მიერ 80 წლის ვარლამ ჩხიკვაძისაგან.

უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია შალვა ასლანიშვილის მეცნიერული მუშაობა. ქართული მუსიკალური ფოლკლორის ხანგრძლივი, დაკვირვებული შესწავლისა და ღრმა კვლევის შედეგად ასლანიშვილმა გამოსცა „ქართლ-კახური ხალხური საგუნდო სიმღერების ჰარმონია“, რომელშიც მეცნიერულად განზოგადებულია ქართული სიმღერებისათვის დამახასიათებელი სამხმიანი წყობისაგან წარმოქმნილი თავისებური ჰარმონია. ეს კი საყოველთაო თეორიული მუსიკისმცოდნეობის საგანსისხმო შენაძენია, რადგან სავალდებულოდ ქცეული ზოგადევროპული ფუნქციონალური ჰარმონიის თეორიული მოძღვრების გვერდით (ჟ. ფ. რამო, ჰ. რიმანი და სხვ.) შ. ასლანიშვილის აღნიშნული შრომა სრულიად ახალი მუსიკალური სამყაროს აღმოჩენას უდრის.

მეცნიერის ბოლო წლების ნაშრომთა შორის მკვეთრად გამოირჩევა მისი „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“, ორი ტომი ამ კაპიტალური სადოქტორო დისერტაციისა შეიცავს მთელ რიგი საინტერესო პრობლემების ბრწყინვალე გადაწყვეტას. განსაკუთრებით ეს ეხება ხალხური სამუსიკო შემოქმედების მრავალხმიანობის ფორმების, უანრების (სუფრული, შრომის და სარიტუალო სიმღერები) და მელოდიკის ძირითად, არსებით კანონზომიერებათა დადგენის საკითხებს.

შ. ასლანიშვილი ქართველ მუსიკისმცოდნეებს შორის სამართლიანად ითვლება დიდი გერმანელი კომპოზიტორის იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედების ღრმა მკვლევარად. ამას მოწმობს მისი თეორიულ-მეთოდური შრომა „ბახის ორ და სამხმიანი ინვენციები“, „ი. ს. ბახის ფუგები“, „ბახის ჩაკონა“. მასვე ეკუთვნის ვრცელი შრომა — „ჰარმონია თანამედროვე მუსიკაში“.

განვლილი 30 წლის მანძილზე შ. ასლანიშვილი ფრიად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა როგორც თბილისის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის გამგე. მიუხედავად უკიდურესი დატვირთულობისა, იგი პოულობს დროს, რათა პრაქტიკულად დაეხმაროს თავის თუ სხვა პედაგოგთა მოწაფეებს მათს მეცნიერულ, მეთოდურ და საშემსრულებლო მუშაობაში. როგორც ნიჭიერ პედაგოგს, ასლანიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ათობით მუსიკისმცოდნე თეორეტიკოსისა და კომპოზიტორის აღზრდის საქმეში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, შ. ასლანიშვილი აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით, მეცნიერულ პრობლემებზე შემდგომი მუშაობის წყურვილით. მთელი ჩვენი მადლიერი მუსიკალური საზოგადოებრიობის მხურვალე სურვილიც ის არის, რომ სახელოვანმა მეცნიერმა, მზრუნველმა აღმზრდელმა და საყვარელმა მეგობარმა — შალვა ასლანიშვილმა დიდხანს იცოცხლოს და იმოღვაწოს მშობლიური სამუსიკო ხელოვნების შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის.

პავლე ხუჭუა.

მეგობრობა მტკიცდება

ამბროლაური. ორი წელია მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ბრატისლავის ოლქის სოფელ რაჩის (ჩეხოსლოვაკია) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის კოლმეურნეობის მშრომელთა შორის.

შარშან შემოდგომაზე რაჩელი მეგობრები პირველად ეწვივნენ სადმელელ კოლმეურნეებს. წელს კი სადმელელები ესტუმრნენ რაჩელებს — თავიანთ ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს და გაეცნენ მათ ცხოვრებას.

შეუდრეკელი

ძარიშხლიან დღეთა გახსენება

განთიადისას ჯოჯოხეთი დატრიალდა. ყოველი მხრიდან მოიწევდნენ გერმანელები. ერთი მოკლულის ადგილზე ორი ჩნდებოდა. ივანემ ვერც კი იგრძნო, როდის მოხვდა ტყვია. გრძნობადაკარგული ჩაეშხო ნაფლეთებადქცეულ მიწაში. მის შენამდე ვეღარ აღწევდა საბრძოლო ყიჟინა და დაჭრილთა კვნესა.

ყველაფერი ბურუსში ჩაიძირა...

საკოცენტრაციო ბანაკის რაობა რომ შეიგრძნო, განმარტებისათვის სიტყვა „ჯოჯოხეთიც“ ცმარა. ამბარტავანი გერმანელი ოფიცრები ცინიზმით სავსე ღიმილით უყურებდნენ ტყვეებს.

„არა, აქ დარჩენა არ შეიძლება. ეს სიკვდილს ნიშნავს. უნდა გავიქცე“.

„მერე დაჭრილი ფეხით სად წახვალ. შენზე ადრე სხვაც გაქცეულა, მაგრამ უპოვნიათ. ისინი ან ქოფაკების ლუკმა გახდარან, ან მათრახის ქვეშ ამოხდომიათ სული. ბანაკის ტერიტორიაზე კიდევ პორწიალობენ ჩამომხვრჩალთა გვამები“.

„სულ ერთია, ასეთ ყოფას სიკვდილი სჯობს. უნდა გავიქცე!“

ზედამხედველებმა წუთით მოადუნეს ყურადღება. ძვალტყავად ქცეული ორი სხეული ყანაში შეცურდა. პირველი ნაბიჯი, ნაბიჯი თავისუფლებისაკენ, გადადგმულია. მაგრამ ახლა საით წავიდნენ. ირგვლივ მტერია. ვის ჰკითხონ რჩევა?

გერმანელებმა მალე შეამჩნიეს ტყვეების გაქცევა. მდევარმა მალე იპოვა ისინი...

ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. მერე „გულმოწყალე“ ფრიცებმა გადაწყვეტილება შეცვალეს. 25 დღეც, ნესტიან საკანში დაამწყვდიეს. ერთ ჭიქა წყალსა და ას გრამ პურს აძლევდნენ. ყოველდღე გამოყავდათ გარეთ, აშიშვლებდნენ, გრძელ სკამზე თოკებით აკრავდნენ და სცემდნენ მანამდე, სანამ გრძნობას არ დაკარგავდნენ. ამ პროცედურას უყურებდა ათასობით ტყვე. ეს იყო საშინელი დღეები.

მალე გერმანიაში, ქალაქ ახენის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. ბანაკი შემოფარგლული იყო მავთულხლართებით, რომელშიც ელექტროდენი გადიოდა. ორმა ტყვემ გაქცევა სცადა, მაგრამ მიაგნეს, მოიყვანეს და ძაღლები მიუსიეს, დაფლეთინეს. ღამღამობით ტყვეებს ტანსაცმელს ხდიდნენ, ფეხშიშველებს, პერანგისა და საცვლის ამარა ტოვებდნენ, რომ გაქცევის საშუალება მოსპობოდათ.

ამ ყოფაში გაიარა ორმა წელმა, ივანეს გაქცევაზე ფიქრი წუთითაც არ ტოვებდა. მალე ორი თანამზრახველიც იპოვა. მცირე ულუფიდან ცოტა-ცოტას განზე დებდნენ, ინახავდნენ. სამუშაოზე, ბალანდას რომ მიუტანდნენ, ყოველთვის ერთი აყალ-მაყალი შეიქმნებოდა ხოლმე. აი, ამით უნდა ესარგებლათ. მახლობლად ტყე იყო — მათი მხსნელი და იმედი. გერმანელი ზედამხედველები ძაღლებივით იღრინებოდნენ. სამმა ადამიანმა ფრთხილად იწყო ტყისაკენ გადანაცვლება. წინ ორი იარაღმოსარჯვებული ჯარისკაცი შეუმახვდათ. „ფიჩხს გაგროვებთ, ფიჩხს“, — როგორც იქნა გაავრცელეს. თან ბრაზი აღრჩობდათ: ამჯერადაც ჩაიშალა დიდიხნის ნაფიქრი და ნაოცნებარი.

საღამო ხანს მოიღრუბლა. ჩამობნელდა და წვიმა წამოვიდა. უკეთეს მომენტს ვერც ინატრებდა კაცი. და აი, უკან დარჩა წამების, დამცირებისა და სიკვდილის ბანაკი.

მთელი 15 დღე მიდიოდნენ უპატრონო, ტანსაცმელშემოფლეთილნი, გაწამებულნი. მეთხუთმეტე დღეს მდევარი წამოეწიათ. ამხანაგები მაშინ დაკარგა. თვითონ როგორ გადარჩა, ახლაც არ იცის, რვა დღე იარა მარტოდმარტომ. იკვებებოდა ბალახითა და ახაზდად ნაპოვნი ხილით, ძალღონე გამოელია.

გაგონილი ჰქონდა, ბელგია საქართველოს გავსო. ამწუხარებული მთაგორები, უღრანი ტყეები იმედსა და ძალას მატებდა. ადამიანის ხმას მონატრებული, წვერგაბურძგნული, შიმშილისაგან არაჩათგამოცლილი ივანე უცბად აღმოჩნდა ველაც მოხუცი გლეხის წინ. ის თივას ზვინავდა. ამ იდილიური სურათის მიღმა ომის საშინელება იდგა. მოხუცს შეეშინდა. დიდხანს უცქეროდა გაოცებული. მერე ივანემ ხმა ამოიღო. გერმანულ-რუსულ-ქართული ერთმანეთში აურია. მღელვარებისაგან ენა ებმებოდა. უნებლიე შიში სულს უფორიაქებდა. 24 დღე და ღამე ეწამა. ენით-

ოსკაკი

სტუმრად ვალერიან მიზანდართან



საინტერესო შემოქმედი და თავმდაბალი ადამიანი — ასე იცნობდნენ ვალერიან მიზანდარს, თავისი გვარის შესანიშნავი ტრადიციის ღირსეულ განმგრძნობს. ამ გვარის წარმომადგენლებთაგან არა ერთსა და ორს შეუტანია თავისი წვლილი ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

ზაქარია ფალიაშვილის აღმზრდელი ფელიქს მიზანდარი, როსინისა და ლისტის ახლო მეგობარი, ბრწყინვალე პიანისტი ალოიზი, გამოჩენილი მოქანდაკე ვალერიანი და მისი ძმისწული ნიჭიერი ქართველი დირიჟორი ვალერიან ფელიქსის-ძე მიზანდარი...

თამამად შეიძლება მათ გვერდით დავაყენოთ საქართველოს დამსახურებული მხატვარი ვალერიან ლეგანის-ძე მიზანდარი, რომელმაც საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო.

ქუთაისის ოთხწლიანი სამხატვრო სტუდიის დამთავრების შემდეგ, ცნობილი პედაგოგის ივანე ჭეიშვილის ხელმძღვანელობით მან პირველი ნათლობა მიიღო,— 17 წლის ჭაბუკმა გაიმარჯვა საკმაოდ დიდ კონკურსში და ჩაირიცხა სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე, იაკობ ნიკოლაძის კლასში.

დაიწყო სერიოზული მუშაობის საინტერესო წლები.

ნიჭიერი ახალგაზრდის შემოქმედებითს მომწიფებას ხელი შეუწყეს ცნობილმა პედაგოგებმა აკადემიკოსმა ევგენი ლანსერემ, პროფესორმა იოსებ შარლემანმა, მოსე თოიძემ და სხვებმა.

თავის უშუალო აღმზრდელად იგი თვლის დიდ ქართველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს, რომლის შემოქმედებით ახალი ეპოქა დაიწყო ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

იაკობ ნიკოლაძე იმედის თვალით შეჰყურებდა ახალგაზრდა მოქანდაკის ნამუშევრებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მათ. იგი ცდილობდა დაეყენებინა თავისი ახალგაზრდა კოლეგა იდეურად მიზანდასახული შემოქმედებითი ძიების გზაზე, რაც მოითხოვდა შეუპოვარ შრომას და მაღალ პროფესიულ დაოსტატებას.

1932 წელს ვალერიანმა დაამთავრა სამხატვრო აკადემია. ის იაკობ ნიკოლაძის ასისტენტად დატოვეს. ამავე წელს დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობა, სადაც ვალერიან მიზანდარი მუშაობს ქართული ორნამენტიკის ხელმძღვანელად.

ამ პერიოდში იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი მელიქიშვილის ბიუსტი ვალერიანმა ქვაში გადაიტანა. იგი დღესაც ამშვენებს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეზოებს.

გადაიდო წლები. ვალერიან მიზანდარი თანდათანობით ეუფლებოდა ქანდაკების რთულ ხელოვნებას. ცდილობდა გამოემუშავებინა საკუთარი სტილი, მტკიცედ დაუფლებოდა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითს მეთოდს.

1935 წლიდან ვალერიან მიზანდარი იწყებს დამოუკიდებელ და მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას. ამის შემდეგ თითქმის არ ყოფილა არც ერთი საკავშირო ან რესპუბლიკური გამოფენა, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღო.

„კლასიკური ნაწარმოებს მხოლოდ ის შექმნის, ვინც მუშაობით გაჭაღარავდება“ დენი დიდროს ეს სიტყვები მუდამ გონებაში ჰქონდა გამჯდარი ნიჭიერ შემოქმედს, და მის თმასაც ჭაღარა ემატებოდა.

შრომისმოყვარეობა და მოთმინება ყველა პროფესიის ადამიანისათვის საჭიროა, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელია ხელოვანისათვის. უთქვამთ, „მოთმინება ისეთი ყვავილია, რომელიც ყველას ბაღში არ იზრდებაო“, ეს კარგად იცოდა ვალერიანმა. ეს ყვავილი მის ბაღში ზამთარ-ზაფხულ ყვაოდა და სტიმულს აძლევდა შემოქმედს დღე და ღამე თავის გმირთა სახეების დახვეწასა და დამუშავებაში გატარებინა, გაეცოცხლებინა და აემეტყველებინა უსულო ქვა.

ვალერიან მიზანდარის შემოქმედება ძირითადად პორტრეტულ ჟანრს მოიცავს, თუმცა ბოლო წლებში მის გალერიაში ფიგურული ჟანრის საინტერესო ნიმუშებსაც ვხვდებით.

მის ადრეული პერიოდის ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია გოდოგნის ყვითელი მარმარილოდან გამოკვეთილი „სტუდენტი ლენინის პორტრეტი“. მოქანდაკე ამ პორტრეტზე მუშაობის დროს მიზნად ისახავდა ფსიქოლოგიური ხაზის გაღრმავებას. აქ იგი გარეგნულ პორტრეტულ მსგავსებას კი არ სჯერდება, არამედ ცდილობს გახსნას შინაგანი სახე, პორტრეტში ყველაფერი გადმოცემულია ძუნწად, განსაზღვრულია გამოსახვის იმ შესაძლებლობებით, რის საშუალებასაც სურათი იძლევა.

დასამუშავებელი მასალის საგანგებო შერჩევით ვალერიან მიზანდარი ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს სახის გახსნას, ადვილად აღსაქმელს ხდის მას. მაგალითად, კოლხიდელი ქალიშვილის პორტრეტი გამოკვეთილია ნაზ, თეთრ იტალიურ მარმარილოში. პორტრეტის კომპოზიცია ლაკონიური და მეტყველია. ამ პორტრეტზე მუშაობის დროს მოქანდაკე ცდილობდა ეჩვენებინა კოლხიდელი ქალიშვილის გარეგანი და შინაგანი დამახასიათებელი ნიშნები, შეექმნა კოლხი ქალის განზოგადებული სახე. სწორად შერჩეული მასალით, შექჩრდილების ნიუნსირებით, პლასტიკური ენის უბრალოებით ხელოვანმა მიაღწია დასახული ამოცანის გადაწყვეტას.

პორტრეტული ჟანრის შედარებით გვიანდელი პერიოდის ნამუშევართაგან ყურადღება გვინდა გავამახვილოთ აკაკი წერეთლის პორტრეტზე. ამ ნაწარმოებით შემოქმედმა ქართველი ხალხის სიამაყის, დიდი აკაკის დაუვიწყარი სახე შექმნა. ქვაში ამეტყველდა გრაციოზულობითა და სილამაზით აღბეჭდილი მოხუცი პოეტის სახე. ერის წინაშე ვალმოხდილი შემოქმედი ამაყად გვიცქერის და მის ხანდაზმულ სახეზე მშობელი ქვეყნის მაღალი ფიქრი იხატება. ქანდაკება პოეზიის ბუნებრივობითა და გამართული, დახვეწილი კომპოზიციით გამოირჩევა.

ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ძლიერად გამოკვეთილი შინაგანი თუ გარეგანი ნიშნები მოქანდაკეს შესანიშნავ მასალას აძლევდა. და აი მიზანდარის შემოქმედებითს ლაბორატორიაში ჩვენ ვხვდებით მაღალნიჭიერებით შექმნილ ჭაბუკი მაიაკოვსკის ძეგლს. ოდნავ დაძაბულ შემართულ ფიგურაში ნათლად იკითხება რევოლუციის მომღერალი პოეტის მგზნებარე სული, იგრძნობა მისი შინაგანი ძალა, აზრის სიღრმე და გამოკვეთილობა.

დიდი ინტერესით უმუშავნია ვალერიან მიზანდარს საქართველოს სახალხო არტისტის იპოლიტე ხვიჩიას პორტრეტზე. გარდა გარეგნული, წმინდა იკონოგრაფიული ნიშნების გადმოცემისა, მოქანდაკე შესანიშნავად გადმოგვცემს მსახიობისათვის დამახასიათებელ დიდ არტისტიზმს.

ვალერიან მიზანდარისათვის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი მხატვრისათვის, ფორმა აზრის სრულყოფილად გამოვლინების საშუალებას წარმოადგენს.

ბოლო წლებში შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უზბეკი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალიშერ ნავოის მონუმენტური ქანდაკება, რომელიც უზბეკეთის მისივე სახელობის რაიონის ცენტრში დაიდგა.

ამ ორიგინალურად გადაწყვეტილ ქანდაკებაში კარგად არის დაჭერილი ეროვნული კოლორიტი. ნათლად იგრძნობა, რომ მასალა ადვილად ემორჩილება მოქანდაკის ნებას და გემოვნებით მოძებნილი ფორმა საშუალებას აძლევს მნახველს ქანდაკებაში მწერლის შინაგანი ბუნება ამოიცნოს.

სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის, საქართველოს სახალხო არტისტის შალვა ხონელის, პოეტ გიორგი სამარაძის, შორეული ცურვის კაპიტანის ვახტანგ ბარათაშვილის და კიდევ მრავალი საინტერესო სახე შექმნა ვალერიან მიზანდარმა.

მიზანდარის ნამუშევართა უმრავლესობა ქართული სახვითი ხელოვნების საინტერესო შენაძენს წარმოადგენს. ყოველ ახალ ნაწარმოებში თვალსაჩინოდ ღრმავდება მოქანდაკის შემოქმედებითი ძიება.

თავის ძირითად პროფესიას ვალერიან მიზანდარი ათავსებს საზოგადოებრივ მუშაობასთან. თორმეტი წლის განმავლობაში იგი ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში მოქანდაკე-მექანიზატორის თანამდებობაზე მუშაობდა. მას უამრავი თოჯინა აქვს დამზადებული 50-ზე მეტი სრულიად სხვადასხვა ხასიათის პიესისათვის. მასვე ეკუთვნის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის რამდენიმე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება.

საქართველოს დამსახურებული მხატვრის ვალერიან მიზანდარის შრომა და ღვაწლი სათანადოდ არის დაფასებული, წლების მანძილზე იგი ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

ვალერიან მიზანდარს არა ერთი და ორი მოწაფე აღუზრდია. ახლახან მოქანდაკემ დაამთავრა და გამოსაცემად ამზადებს მოგონებებს თავის სასიქადულო მასწავლებელ იაკობ ნიკოლაძეზე. მალე მკითხველი მისი ბიოგრაფიული ნოველების კრებულსაც იხილავს.

შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში მყოფი ჭეშმარიტი მხატვარი ვალერიან მიზანდარი კვლავ არაერთხელ გაგვახარებს თავისი ნამუშევრებით.

დ. ჭენგელია.

უთქმელი გაჭირვება გადაიტანა და ნუთუ ახლა უნდა ჩავარდეს? ვინ არის ეს მოხუცი, ჩვენიანი თუ „ომათი?“.

— „რუს, რუს“, — ცოტა ხნის შემდეგ სახარულით აბუტბუტდა იმედმიცემული გლეხი. გულმა გული იცნო. დამხვდურმა თამბაქო მისცა. მერე ხელი გაიშვირა, სოფელი დაანახვა და როგორც იქნა, გააგებინა: „მე წავალ, საჭმელსა და ტანსაცმელს მოგიტან, შენ აქ მომიცადე“.

ცოტა ხნის შემდეგ სამნი დაბრუნდნენ. „ის ორი ვიღაა. სამტროდ არიან მოსული თუ სამოყვროდ?“ ყოველშემთხვევისათვის ადგილი იცვალა. ივანეს ძებნა და ძახილი დაუწყეს. უნდობლობამ თანდათან უკან დაიხია. „მოხდეს რაც მოსახდენია!“

ეს ათასჭირგამოვლილი კაცი, ივანე ჩუნთიაიძე, ახლა ჩემს წინაა. ბევრ დეტალს ვერ იგონებს. საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ მთავარი არასოდეს დაივიწყებს ბელგიელ თანამებრძოლებს, ჯაშაშარ პარტიზანებს, ვისთან მხარდამხარაც იბრძოდა და მთელი წლის განმავლობაში მოსვენებას უკარგავდა საძულველ მტერს. აქ გაიცნო და დაუმეგობრდა ბელგიელ ცოლ-ქმარს ჟოზეფ და საშა კოლინებს, ედგარ აჟდას. ხშირად მიდიოდა მათთან ბინაში, რომელიც პარტიზანთა საიდუმლო თავშესაფრად ქცეულიყო. ომმა დაახლოვა ორი ხალხის წარმომადგენელი. მერეც, როცა ივანე მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა, ხშირად იგონებდა ძვირფას ადამიანებს. სამწუხაროდ, მათი მისამართი დაიკარგა და შეხმიანება ვერ შეძლო. ისევ ბელგიელმა მეგობრებმა მოიგონეს. შარშან წერილი გამოუგზავნეს. ბარათმა დიდხანს იმოგზაურა. სანამ ადრესატს იპოვიდა. ივანემ პასუხი არ დააყოვნა. გაუგზავნა თავისი სურათი. საპასუხოდ კოლინებმა თავიანთი სახლის წინ გადაღებული ფოტო გამოუგზავნეს. აი, ამ ბინაში იმალებოდა ხოლმე ივანე. რამდენიმე ტკბილ-მწარე მოგონებაა დაკავშირებული ამ ადამიანებთან, გვერდით რომ ქალ-ვაჟი ამოუყენებიათ და ბედნიერების ღიმილი დასთამაშებთ სახეზე...

მაგრამ, გავყვეთ ისევ საბრძოლო გზას. 1945 წელს, როცა ბელგიიდან ფაშისტები გარეკეს, პარტიზანთა ერთი ჯგუფი საფრანგეთში გადაიყვანეს. მალე სპეციალური თვითმფრინავით გერმანიაში გადმოსხეს. აქ მოხდა ამაღელვებელი შეხვედრა თავისიანებთან. ომი ძლევამოსილად დამთავრდა, მაგრამ ახლა იაპონიამ წამოყო თავი. ივანე აღმოსავლეთისაკენ მიემგზავრება. გზაში მოუსწრო სასიხარულო ცნობამ — იაპონიამ იარაღი დაყარაო.

ახლა ის ლოგინსაა მიჯაჭული. ბრძოლებმა შემთხვევამ ხერხემალი დაუზიანა. ვუყურებ და მიკვირს — რამდენი გაჭირვების გადატანა შეძლებია ადამიანს, თუ ის სულით არ დაეცემა და ექნება მომავლის რწმენა, თუ მტკიცედ სწამს იმ საქმისა, რომლისთვისაც იბრძვის და სისხლსა ღვრის. იგი ღიმილით მიჩვენებს ბელგიელი მეგობრების წერილებსა და სურათს. ჩამკვირვებით ვკითხულობ მისამართს:

„ბელგია, ტანს პულსერ ლიეჟი, ბერნარტრასსე, 24, ჟოზეფ კოლენ“

— ამ კეთილი ადამიანების შესახებ მისმა თანამემამულეებმაც უნდა გაიგონ. იქნებ როგორმე მივაწვდინო ხმა. მირჩიეთ, ვის მივმართო დახმარებისათვის, — მეუბნება ივანე.

მეგობრობის ძაფი, გამყული ოცდახუთიოდე წლის წინათ, მტკიცდება. ბრძოლაში მოპოვებულ მეგობრობას ხომ არაფერი შეეძრება ამ ქვეყნად...

ე. ლებანიძე.

4/8. 3/115.



იალაღებზე.



დედის გული

შენ დაგეძებენ, გიორგი ჯაფარიძევ!

აბარულას ნაპირს, დამრეც ბილიკს მივყვებოდით მე და სკოლის დირექტორი ალექსანდრე ჯაფარიძე. თელების და ტირიფის ხეთა უსხივო ტევრში ვერცხლისფრად მიიკლაკნებოდა პატარა მდინარე.

ორსართულიანი სახლის აივანზე იჯდა ჭაღარასანი ქალი და ჩამქრალი თვალებით გაჰყურებდა გზას...

— ქრისტინე ბიცოლაა, — მითხრა დირექტორმა.

ქრისტინე ბიცოლა — ჩემი ყრმობის მემატიანე, ტკბილმოუბარი, ჩვენი მწერლობის შესანიშნავი მცოდნე, მწიგნობარი — საოცრად მოტეხილი მეჩვენა.

—გოგია გახსოვს? — ისევ დირექტორი შემეკითხა.

არა. — ვერ გავიხსენე.

ლიხეთის საშუალო სკოლაში ყველა იცნობდა გიორგი ჯაფარიძეს, მორიდებულს, თავისი საგნის უზომოდ პატივისმცემელს, მათემატიკის მასწავლებელს.

— ცოლს, შენს ცოლს მომასწარი, ბიჭო! — ემუდარებოდა დედა.

— უთუოდ შეგისრულებ მაგ თხოვნას, — ეუბნებოდა გიორგი, — მერე შვილიშვილები ჰერს ჩამოაქცევენ ანცობით. ვაუს გიორგის დავარქმევ — პაპაჩემის სახელს, გოგონას — ლაურას. იცი, რას ნიშნავს ლაურა, დედი?

და ოცნებობდა დედა შვილიშვილებზე: ლამაზ რძალზე, თმაკულულა ლაურაზე და გიშრისფერთმიან გიორგიზე, რომელიც პაპის სეხნიაც იქნებოდა და მამისაც. მაგრამ...

ცხრაას ორმოცდაერთმა ყველა ოცნება დაუმსხვრია დედას.

სამშობლო შვილებს ეძახდა და გიორგი პირველი წავიდა ფრონტზე, რათა წინაღდგომოდა ბარბაროსებს.

წავიდა და შინ გამარჯვების რწმენა დატოვა.

პირველ წელსვე შეწუდა მისი ხელით ნაწერი სამკუთხა ბარათები.

დამთავრდა ომი, შინ დაბრუნებულნი გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ამაოდ ელოდა დედა ომგადახდილი შვილის დაბრუნებას.

თანასოფლელებმა ამბავი მოუტანეს: გიორგი უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

მას შემდეგ ზის აივანზე დედა და ელის შვილს, ელის მოთმინებით.

ერთხელ აუფორიაქდა გული დედას: ვიღაცას ეთქვა, ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლის წევრებს პარიზში ქართველი გოგონა ლაურა ჯაფარიძე შეხვედრიაო.

უთქვამს, შინ გვეწვიეთ; მართალია, მამა — გიორგი ჯაფარიძე შინ არ არის, მეც გაგიწევთ მასპინძლობასო.

ეს ამბავი უამბეს დედას. აფორიაქდა ქალი. ისევ გაუდვივდა იმედის მთვლემარე ნაპერწკალი, ოციოდე წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა: ჩემს გოგონას ლუარას დავარქმევო — უთხრა გიორგიმ.

შეევედრა მერე ალექსანდრე ჯაფარიძეს: შენ სწავლული კაცი ხარ, შვილო, ყველაფერი იცი, იქნებ მისწერო ვინმეს, კეთილი ხალხი არ დაილევა ქვეყნად, იქნებ შენ გამიგო ჩემი გოგიას ამბავი...

ეს ამბავი აქ მიამბეს აბერის თემში. მწვანეში სოკოსავით ამოჩრილა წითელი კრამიტით დახურული სახლი. აივანზე ზის დედა და ელის თავის შვილს, ან მისი ამბის და ლაურა ჯაფარიძის ვინაობის მთხრობელს.

მეც გეძახი, შენი ახლობელი და სისხლისმიერი, იქნებ მართლაც ხარ სადმე, ხმა გაგვეც!.. ან იქნებ შენ, ლაურა, გვაცნობო რამე!

თამაზ კერვალიშვილი.

ქ. ონი.



არტუშა ნიკას-ძე სეირანოვს (სურათზე შუაში), დაგადებულს 1923 წელს ეძებს დედა — სირანა არტემის ასული სეირანოვი, მცხოვრები სოფელ ველისციხეში (გურჯაანის რაიონი).

27 ოსტატი



ბათუმი. აჭარის 500-მდე ფიზკულტურული კოლექტივი აერთიანებს ათი ათასობით სპორტსმენს — 37 სახეობის სპორტის წარმომადგენლებს. აჭარელ ფიზკულტურელთა რიგებში აღიზარდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მოჭიდავეები, ველოსიპედისტები, ჩოგბურთელები, არაერთელ მოუპოვებია წარმატება თავისუფალ მოჭიდავეთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გ. გოგიჩაიშვილს, საქართველოს ჩემპიონსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობის პრიზიორს ველოტრეკზე ო. ნიშნიანიძეს, საქართველოს ორგზის ჩემპიონს მაგიდის ჩოგბურთში ს. პანფინიდის.

მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში აჭარაში მომზადებულია 27 სპორტის ოსტატი, 556 პირველი თანრიგის სპორტსმენი. ეს მიღწევები წარმოუდგენელი იქნებოდა სასპორტო ნაგებობათა ქსელის განუვითარებლად. უკვე შექმნილ ბაზებს მალე მოემატება ახალი სტადიონები, აუზები, ტანვარჯიშის დარბაზები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბაზების მშენებლობას რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებსა და დაწყებულ მთიან რაიონებში. ბათუმში დაწყებულია ბეტონის ტრიბუნის აგება „დინამოს“ სტადიონზე, გადიდდა ადგილების რაოდენობა დამატებითი რიგების აგების გზით. ახლა მწვანე მოედანზე შეჯიბრება შეიძლება ერთსა და იმავე დროს ნახოს 20 ათასმა მაყურებელმა, ე. ი. წინანდელზე ორჯერ მეტმა.

ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აგებულია ვრცელი დარბაზი ტანვარჯიშისა და ძალოსნობისათვის.

ბათუმში შენდება მძლეოსნური სექტორი, ტირი, საბავშვო სპორტსკოლის სასპორტო დარბაზი, განზრახულია აიგოს ხუთმონსტრაციო დარბაზი 5 ათასი მაყურებლისათვის, 25-მეტრიანი საცურაო აუზი ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელში, დიდი ნიჭბის მოსასმელი სადგური.

გოსკინცენტრ სკვაშთვეტის

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ვისაუბრით:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.